# იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2010-2011 სასწავლო წელი

სილაბუსi

**ფაკულტეტი**: სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის

**კათედრა**: ფილოსოფიის

**სასწავლი კურსის დასახელება:** ჟურნალისტური გამოძიება

**სასწავლო კურსის კოდი**:

**ასისტენტ-პროფესორი:** ლალი ძამუკაშვილი

e.mail: brosset_telavi@yahoo.fr

ტელ: 893 97 98 33

**ESTS რაოდენობა:** 5, (125 საათი); საკონტაქტო საათები 30, დამოუკიდებელი მუშაობისათვის 95 საათი. კურსის ხანგრძლივობა ერთი აკადემიური სემესტრი (15 კვირა). კვირაში ჩატარდება 1 ლექცია და 1 სემინარი. (30 საათი განკუთვნილია სააუდიტორიო, 95 საათი - დამოუკიდებელი მუშაობისათვის).

სტუდენებთან ინდივიდუალური კონსულტაციის დღეები:

სამშაბათი, ხუთშაბათი 12 საათიდან 13 საათამდე.

**სასწავლო კურსის სტატუსი:** სავალდებულო

**სასწავლო კურსის აღწერა:** კურსი გათვლილია ბაკალავრიატის საფეხურის ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებისათვის მე-8 სემესტრში. იგი შედგენილია, როგორც მაქსიმალურად პრაქტიკული კურსი. ვთვლით, რა რომ კურსი წარმოადგენს პროფესიული გამოცდილების ყველაზე მაღალ საფეხურს, იგი სტუდენტებს შეეთავაზებათ სწავლების ბოლო წელს, როცა მათ უკვე გავლილი აქვთ მთელი რიგი პროფესიული და ზოგადი განათლების მომცველი კურსები და უკვე შეუძლიათ დამოუკიდებლადაც მნიშვნელვან თემებზე წერა, სიტუაციის გაანალიზება, კვლევის ჩატარება და სხვა.

**სასწავლო კურსის მიზანი:** კურსი კონცენტრირებულია საგამოძიებო ჟურნალისტიკის მთავარ ასპექტებზე. კურსი მიზნად ისახავს სიღრმისეული ჟურნალისტური მასალის მომზადებას, რომელიც ეყრდნობა სხვადასხვა წყაროებს, დოკუმენტებსა და მონაცემთა ბაზას. კურსის ფარგლებში სტუდენტები ცდილობენ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხები დაამუშაონ და გააშუქონ. პარალელურად, ისინი მუდმივად აკვირდებიან როგორ მუშაობენ სახელისუფლებო ან ბიზნეს სისტემები, რათა შეაფასონ მათი საქმიანობა მიღებულ სტანდარტებთან მიმართებაში. კურსის ფარგლებში სტუდენტებმა უნდა შექმნან ადამიანის ისეთი პორტრეტი, რომელშიც მის შესახებ იქნება სხვადასხვა ადამიანების მოსაზრებები. ასევე, კურსი ორიენტირებულია ისეთი საკითხების გაშუქებით, ორგანიზაციებსა თუ ინდივიდებზე, რომლებსაც, ჩვეულებრივ არ აშუქებენ ხოლმე. კურსი ითვალისწინებს ინტერნეტ რესურსების ეფექტურ გამოყენებას. კურსმა სტუდენტებს უნდა გამოუმუშაოს ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია პროფესიული ჟურნალისტიკისათვის. კერძოდ: ცნობისმოყვარეობა, საფუძვლიანი კვლევა, დაგეგმვა, ყურადღების გამახვილება დეტალებზე, სიზუსტის დაცვა და ა.შ.

კურსი ორიენტირებულია ისეთი საკითხების გაშუქებაზე, რომელიც აწუხებს საზოგადოებას. მასალებში უნდა ჩანდნენ ადამიანები, რომლებიც ზარალდებიან სხვადასხვა პრობლემებით, ის ადამიანები, რომლებიც ქმნიან ამ პრობლემებს და რომლებიც პასუხისმგებლები არიან ამ პრობლემების მოგვარებაზე.

სწავლების პერიოდში სტუდენტებს მოუწევთ თანაკურსელების სტატიაზე მოკლე კრიტიკული წერილის მომზადება. ისე, რომ პრაქტიკული მეცადინეობები დატვირთული იყოს დისკუსიებით, იმის განხილვით, თუ რა იყო სტატიაში კარგი და რისი გაკეთება შეიძლებოდა უკეთესად. იქნება მსჯელობა პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე. დისკუსიები გაიმართება წყაროების მოძიებაზე, დოკუმენტების, მონაცემთა ბაზებისა და ექსპერტების მოძიებაზე, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის წერილის შედგენაზე, თემების გაშუქების დაგეგმვასა და სტატიის დაწერაზე.

სტუდენტებს ევალებათ წარმოადგინონ 1000 სიტყვიანი მოხსენბითი ბარათი, სადაც მოკლედ აღწერილი იქნება ჩასატარებელი კვლევა, და დასახელებული იქნება 10 მთავარი წყაროს სახელი, თავისი რეკვიზიტებით (გვარი-სახელი, თანამდებობა, ტელეფონის ნომერი, ელ, ფოსტა), ასევე, წარმოადგენენ 5 სტატიის იდეას. სტუდენტები უთითებენ იმ დოკუმენტებსა და ვებგვერდებს, რომელიც თემასთან უშუალო კავშირშია, ასევე მითითებული უნდა იყოს, რომელმა მედიამ გააშუქა ამ თემასთან დაკავშირებული საკიტხები. სტუდენტი წერს 600 სიტყვიან სტატიას, სადაც მიმოიხილავს შერჩეული თემის სფეროს და გამოყოფს მთავარ საკითხებს.

**სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობა:** ჟურნალისტური ოსტატობა, ახალი ამბების ჟურნალისტიკა, ანალიტიკური ჟურნალისტიკა, ჟურნალისტური ეთიკა და

თვითრეგულირება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, მედიასამართალი, ინტერნეტჟურნალისტიკა.

| | | |
|---|---|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** | აქვს საგნის საბაზისო ცოდნა და შეუძლია მისი პრაქტიკული გამოყენება | სტუდენტები ეცნობიან საგამოძიებო ჟურნალისტიკის მიდგომებს, აზროვნების სტილს, უნარ-ჩვევებსა და ინსტრუმენტებს, რომლებსაც ისინი იყენებენ. სწავლობენ ისეთ ფუნდამენტურ ჟურნალისტურ მიდგომებს, რომლებიც სცდება ახალ ამბებზე ფოკუსირებულ რეპორტაჟებს. სწავლობენ, როგორ მოათავსონ კონტექსტში და მნიშვნელობა შესძინონ ყველა ამბავს. სწავლობენ, როგორ გააუმჯობესონ მასალის სანდოობა და სიზუსტე დოკუმენტებსა და მონაცემებზე დაყრდნობით. როგორ აიღონ ეფექტური ინტერვიუ, კრიტიკული კითხვების დასმის მეშვეობით და გამოიჩინონ სიმტკიცე წყაროებთან. სტუდენტები სწავლობენ დროის რაციონალურ მართვას, წყაროებთან ურთიერთობისას სტრესისა და დაძაბულობის განმტკიცებას. ყველა ის უნარ-ჩვევა, რომელსაც ეს კურსი უმუშავებს სტუდენტებს, ეხმარება ნებისმიერი პროფესიული სამუსაოს სესრულებაში. კურსის გავლის სედეგად სტუდენტებმა იციან მასალის ორგანიზება. |
| | | |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** | აცნობიერებს ჟურნალისტური გამოძიების ძირითად პრინციპებს და ახდენს კურსის ფარგლებში შემავალი კომპლექსური საკითხების გააზრებას.<br>შეუძლია შეასრულოს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე დავალებები.<br>სტუდენტს შეუძლია წარმატებით წარმოადგინოს | შეუძლია ზუსტად და გასაგებად წერა. გამომუშავებული აქვს მასალის შეგროვების, წყაროებთან ურთიერთობის უნარი. შეუძლია სიტუაციის შეფასება და კონკრეტულ ამბავთან დაკავსირებით მასალის ორგანიზება. შეუძლია საჭირო ინფორმაციის მოძიება-დახარისხება, ინტერვიურება. იცის პოლიტიკური და პრობლემური ხასიათის სიუჟეტების დაამუშავება. მასალის |

| | | |
|---|---|---|
| | ჟურნალისტური გამოძიების თაობაზე საკუთარი შეხედულებები, მოახდინოს საკითხის განხილვა და შეფასება. | დროულ ვადებში მომზადება და ჩაბარება. ფლობს ჟურნალისტური გამოზიებისათვის საჭირო ჩვევებს. ფლობს ინტერვიუს გამოყენების მეთოდებს. შეუძლია არგუმენტირებული მსჯელობა და კრიტიკული აზროვნება. გააჩნია გუნდური მუშაობის უნარი; ახერხებს საინტერესო ამბის დაწერას, რომელიც არ შემოიფარგლება მხილოდ იმით თუ ვინ , რა, როდის, და სად გააკეთა, არამედ, ასევე ასახავს რატომ და როგორ გააკეთა. სტუდენტმა იცის ეთიკური საკითხების დაცვა ჟურნალისტური გამოძიების მომზადებისას. |
| **დასკვნის უნარი** | შეუძლია ჟურნალისტური გამიძიების საკითხის შესახებ საჭირო მონაცემების შეგროვება, დამუშავება, გადმოცემა დასაბუთებული დასკვნების სახით. | ჟურნალისტური გამოძიების კურსი სტუდენტს უმუშავებს უნარს ფაქტებზე დაყრდნობით, ლოგიკური და თანმიმდევრული აზროვნებით მივიდეს სიახლემდე, გაანალიზოს და საკუთარი დასკვნები გაამყაროს არგუმენტებითა. |
| | | |
| **კომუნიკაციის უნარი** | შუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. | შეუძლია ტექნიკური საშუალებების ხმარება და მუშაობის პროცესში მისი გამოყენება; მონაცემთა ბაზების შექმა და არსებული ბაზების გამოყენება. წყაროებთან ურთიერთობა. |
| **სწავლის უნარი** | შეუძლია როგორც დამოუკიდებლად, ასევე, სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა. შეუძლია გაანალიზოს საკუთარი სწავლის პროცესი და დაგეგმოს მომავალი სწავლის საჭიროება. | |
| | | |
| **ღირებულებები** | იცნობს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს. | ეთიკური სტანდარტების დაცვა.<br><br>დემოკრატიული ფასეულობებისა და უფლებების დაცვა. |

კურსის სტრუქტურა

## I კვირა:

სასწავლო კურსისა და კურსში სემავალი საკითხების მიმოხილვა;

კურსის ძირითადი მიზანი, აქტუალურობა, ამოცანები, არსი; თანამედროვე, ამერიკული, ევროპული და ქართული ჟურნალისტური გამოძიების მაგალითები, პარალელები. მოკვლევა და გამოძიება ჟურნალისტიკაში.

საგამოძიებო პროექტის თემები.

*literatura:*

ჰიუსტონი, ბ. (...). გვ. 3-37

ჟურნალისტები ჟურნალისტებს. სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის. გვ, 46-70

## მე-2 კვირა

ინფორმაციის თავისუფლების  შესახებ კანონი და საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნა. როგორ შევადგინოთ წერილი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნაზე;
ინფორმაციის მოძიების ხერხები და მეთოდები; წყაროებთან მუშაობა, ტაქტიკა, წყარო და მისი ტიპები; მეორადი წყაროები; დოკუმენტების კლასიფიკაცია

*literatura:*

ჰიუსტონი, ბ. (...). გვ. 38-78

## მე-3 კვირა

ინტერვიუს ტექნიკები;

თემის შერჩევის მეთოდები, ინტერესების გამოკვეთა, გამოძიების დაგეგმვა.

საგამოძიებო ჟურნალისტური ტექსტის აგების პრინციპი; სათაური, ლიდი, კომპოზიცია, ფაქტისა და კომენტარის გამიჯვნა, დასკვნა; ტონის პრობლემა

*literatura:*

ჰიუსტონი, ბ. (...). გვ. 82-110

## მე-4 კვირა

საგამოძიებო ჟურნალისტიკის სპეციფიკა ბეჭდური და ელექტრონული მედიისათვის; საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება საგამოძიებო მასალაზე მუშაობისას.

ეთიკის საკითხები; ეთიკის პრობლემები თანამედროვე ქართულ მედიაში.

*literatura:*

ჰიუსტონი, ბ. (...). გვ. 112-125

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. (2010).

### მე-5-6 კვირა

მთავრობის საქმიანობის გამოძიება:

აღმასრულებელი ხელისუფლების გამოძიება; საკანონმდებლო ხელისუფლების გამოძიება; სასამართლო სისტემის გამოძიება.

*literatura:*

ჰიუსტონი, ბ. (...). გვ. 125-225

### მე-7 კვირა

სასამართლო ორგანოების საქმიამობის გამოძიება;

*literatura:*

ჰიუსტონი, ბ. (...). გვ.231-275

### მე-8 კვირა

განათლების სფეროს გამოძიება.

*literatura:*

ჰიუსტონი, ბ. (...). გვ.276-311

### მე-9 კვირა

კომერციული ბიზნესის გამოძიება.

*literatura:*

ჰიუსტონი, ბ. (...). გვ. 317-360

## მე-10 კვირა

ფინანსური სისტემებისა და სადაზღვეო სისტემის გამოძიება.

*literatura:*

ჰიუსტონი, ბ. (...). გვ. 379-415

## მე-11 კვირა

ჯანმრთელობის დაცვის სფეროს გამოძიება

*literatura:*

ჰიუსტონი, ბ. (...). გვ. 415-443

## მე-12-13 კვირა

სხვადასხვა სფეროს გამოძიება: ენერგეტიკა და კომუნალური სფეროს გამოძიება; გარემოს დაცვის გამოძიება; სატრანსპორტო სფეროს გამოძიება.

*literatura:*

ჰიუსტონი, ბ. (...). გვ. 443-504

## მე-14 კვირა

უძრავი ქონების გამოძიება; სოციალურად დაუცველი ფენის გამოძიება.

შუალედური წერა

*literatura:*

ჰიუსტონი, ბ. (...). გვ. 504-539

## მე-15 კვირა

პრეზენტაციები

განვლილი მასალის გამეორება

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები:**

სასწავლო კურსი ძირითადად პრაქტიკული ხასიათისაა და გათვლილია ინტერაქტიულ რეჟიმზე, რაც გულისხმობს სტუდენტების ინტენსიურ ჩართვას ლექციებსა და სემინარებში; მნიშვნელოვანი დრო დაეტმობა სტუდენტების მიერ ყოველკვირეული დავალებების მომზადებას და მათ განხილვას, სემინარებს, პრეზენტაციებს დისკუსიებს დებატებს, ანალიზს, მუშაობას მცირე ჯგუფებში, თვითშეფასებას სხვათა ნაშრომების შეფასებასა და სხვ. სტუდენტებს მიეწვდებათ საკითხავი მასალა, რომელიც მათ ჟურნალისტური გამოძიების უცხოურ გამოცდილებას გააცნობს, ასევე განიხილება ევრაზიის ფონდის დახმარებით მიღებული ჟურნალისტური გამოძიების ქართული ვარიანტები. კურსის მანძილზე სტუდენტები მოახდენენ მათთვის სასურველი თემების შერჩევას, შეხვედრებზე მოხდება სისტემატური აზრთა გაცვლა-გმოცვლა წყაროებისა და მასალების ეფექტური მოძიების თაობაზე. იმ დაბრკოლებების ესახებ, რაც მათ შეხვდათ მასალების მოძიებისა და გამოძიების პროცესში. ყოველი მნიშვნელოვანი ეტაპის დასრულების შემდეგ სტუდენტები მოახდენენ ინდივიდუალურად ან ჟგუფურ პრეზენტაციას შესრულებული სამუშაოების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს საბოლოო პროდუქტის, მცირე ჟურნალისტური გამოძიების ჩატარებას.

**ლიტერატურა:**

ჰიუსტონი, ბ. (2009). *ჟურნალისტ-გამომძიებლის სახელმძღვანელო; დოკუმენტების, მონაცემთა ბაზებისა და მეთოდების გზამკვლევი.* ბოსტონი, ნიუ იორკი.

**შეფასების კრიტერიუმები:**

სტუდენტი შეფასდება მაქს. 100 ქულით, რომელიც განაწილებულია შუალედურ და

დასკვნით გამოცდაზე შემდეგი თანაფარდობით:

შუალედური შეფასება _მაქს. 60 ქულა

დასკვნითი გამოცდა _მაქს.40 ქულა

მათ შორის:

- 2 შუალედური წერა_ თითოეული შეფასდება მაქს. 15 ქულით (მაქს. 30% _2 X15)

შუალედური წერის თემების შესახებ სტუდენტი გაფრთხილდება ერთი

კვირით ადრე. შედეგს სტუდენტი შეიტყობს დაწერიდან 3 სამუშაო დღეში.

- 4 ზეპირი გამოკითხვა_თითოეული შეფასდება მაქს. 5 ქულით (მაქს. 20 ქულა _4X5)

- 1 ზეპირი პრეზენტაცია _ შეფასდება მაქს. 10 ქულით (მაქს. 10ქულა_10 X1)

წარდგენილი თემატიკიდან სტუდენტი სემესტრის დასაწყისშივე შეარჩევს ერთ-ერთ საპრეზენტაციო თემას და მომზადების პროცესში პროფესორისგან პერიოდულად მიიღებს კონსულტაციებს.

სტუდენტები თემებს წარმოადგენენ წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით.

საპრეზენტაციო თემის მოცულობა უნდა იყოს არა ნაკლებ 2 ნაბეჭდი ან 3 ხელნაწერი (A 4 ფორმატი) გვერდისა.

პრეზენტაცია შეფასდება შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებით:

-თემის გასაგებად წარმოდგენა _მაქს. 4 ქულა

-დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა _მაქს. 4 ქულა

-ვიზუალური საშუალებების გამოყენება _მაქს. 2 ქულა

გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც ექნება შუალედური შეფასება არა ნაკლებ

11 ქულისა.

შუალედური მუშაობისა და დასკვნითი გამოცდის შეჯამების შემდეგ, სტუდენტს

მიენიჭება დადებითი შეფასებები:

A (ფრიადი) _91 ქულა და მეტი

B (ძალიან კარგი) _81-90 ქულა

C (კარგი) _71-80 ქულა

D (დამაკმაყოფილებელი) _61-70 ქულა

E (საკმარისი) _51-60 ქულა

უარყოფითი შეფასებები: FX (ვერ ჩააბარა) ეძლევა დამატებით გასვლის უფლება _41-50 ქულა

F (ჩაიჭრა) ახლიდან აქვს შესასწავლი _40 ქულა და ნაკლები.